

**საქართველოს კანონი**

**„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში  
დამატების შეტანის თაობაზე”**

**მუხლი 1.** „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1996 წელი №27-28/4) შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

1. კანონის მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „3<sup>1</sup>“ პუნქტი:  
„3<sup>1</sup>. ამ კანონის მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების და მასალების განსაიდუმლოების უფლება აქვს პროკურორს კანონით დადგენილი წესით;“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი